პიერ ვორმსი

# ლადო გუდიაშვილი პარიზში.

მიმდინარე წლის ივნისში ლადო გუდია-
შვილმა მესამეჯერ გამოაფინა თავისი ნაწარ-
მოებები პარიზში. პირველი მისი გამოფენა
მოეწყო 1923 წელს La Licorne-ს გალერეიაში.
ამ გალერეიას მაშინ დამსახურებული ჰქონდა
იმ ახალგაზრდა და ნიჭიერ მხატვართა პოპუ-
ლარიზატორის რეპუტაცია, რომელნიც ახალ
ტენდენციებს იჩენდენ. პირველი გამოფენის
მოწყობა „La Licorne“-ის გალერეაში ყოველ
ახალგაზრდა მხატვრისათვის მეტად სანატრე-
ლი იყო. მაგონდება ის სიხარული, რომელიც
განვიცადეთ ჩვენ, როდესაც ჩვენმა მეგობარმა
ლადომ გვაცნობა გალერეის დირექციის თანხ-
მობა მისი სურათების და ნახატების გამოფე-
ნის მოწყობის შესახებ. ჩვენს წრეში—მოწინავე
მხატვრების ვიწრო წრეში—ეს სანატრელ კურ-
თხევად ჩავთვალეთ.



პიერ ვორმსი

პარიზის მხატვრული წრეების და საზო-
გადოებისათვის ლადო გუდიაშვილის ეს პირ-
ველი კერძო გამოფენა მთელი მოვლენა იყო.
ჩვენთვის, მისი მეგობრებისათვის, რომელნიც პირველად ვხედავდით მის სურა-
თებს გალერეის კედლებზე, ეს იყო არა მარტო მოვლენა, არამედ დადასტურება
იმისი, რასაც ჩვენ ყველანი ვფიქრობდით: რომ ლადო იყო დიდი ხელოვანი.

ლადოს რეპუტაციამ გადალახა ჩვენი, მეგობრების ვიწრო წრის ფარ-
გლები. იგი გახდა ერთი იმ ახალგაზრდა მხატვართაგანი, რომელსაც პატივს
სცემდენ მოძმეები და ხანდახან შურითაც შესცქეროდენ, აღნიშნავდენ სალო-
ნის კრიტიკოსები, ხოლო ხელოვნების მოყვარენი აფასებდენ ასეთი ფორმულით:
„აი, მხატვარი, რომელიც ყურადღების ღირსია“, რაც ნიშნავდა იმას, რომ
საჭიროა მისი სურათების ბლომად გასაღება, როგორც კი მისი ავტორი სახელს
მოიხვეჭს საზოგადოებაში. ეს იყო სვლა დიდებისაკენ პარიზის სკოლის რიგებში,
რომლის ერთ-ერთ იმედად ლადო გუდიაშვილი გადაიქცა.

დიდი სახელის მოხვეჭა თავიდანვე მოითხოვდა მისგან ზოგიერთ ვალდებუ-
ლებას: მხატვარს უფრო ხშირად უნდა ეჩვენებია პარიზის მხატვრული წრეები-
სათვის თავისი ნამუშევარი. გუდიაშვილს უკვე უნდა ეფიქრა თავის ნაწარმო-
ებთა მეორე გამოფენის მოწყობაზე.

ეს მეორე გამოფენა მოეწყო „Billiet“-ის გალერეიაში. მისი დამაარსებელი
და დირექტორი, ცნობილი, როგორც ხელოვნების მკაცრი კრიტიკოსი, ღებულობდა
თავის გალერეიაში გამოსაფენად მხოლოდ ნიჭიერ და ორიგინალურ მხატვართა
ნამუშევარს. ლადომ თავისი ნაწარმოებები გამოფინა ბილიეს გალერეიაში 1925
წელს. ამ გამოფენის კატალოგში მოთავსებული იყო ანდრე სალმონის წერილი,
რაც ახალგაზრდა მხატვრისათვის იმ დროში იშვიათ ბედნიერებას წარმოადგენ-
და, ვინაიდან ანდრე სალმონი, ხელოვნების დიდი კრიტიკოსი და პოეტი, ქება-
ხოტბაში სიუხვეს არ იჩენდა. ანდრე სალმონი იყო გამომგონი ფორმულებისა
„ცოცხალი ხელოვნება“ (L'Art vivant) როგორც აკადემიზმის ანტითეზა, აგრე-

თვე „პარიზის სკოლა", რომელიც იყო ანტითეზა ე. წ. „ფრანგული სკოლისა" (აკადემიზმის სინონიმისა).

ეს იყო ადამიანი, რომელმაც გააცნო და ღირსეულად შეაფასებია საზოგადოებას პიკასო, მატისი, უტრილიო, მარი ლორანსენი, ვლამენკი და ამ თაობის ყველა დიდი ოსტატი. მას შემდეგ, რაც მან რამდენიმე წელი მოანდომა ამ მხატვრების რეპუტაციის განმტკიცებას თითქმის მთელ მსოფლიოში, ანდრე სალმონი იშვიათად განიცდიდა ისეთ აღფრთოვანებას ახალი მხატვრის შემოქმედების წინაშე, რომ დახმარებოდა მას თავისი ავტორიტეტით, რომელიც უკვე დიდი იყო „L' Art Vinant"-ის სპეციალისტთა წრეებში. ანდრე სალმონის მიდგომა ლადო გუდიაშვილისადმი კი ერთნაირ გამონაკლისს წარმოადგენდა.

გამოფენა მოეწყო, როგორც უკვე ვსთქვით, ბილიეს გალერეიაში. გამოფენამ დიდი წარმატებით ჩაიარა, რაც მან სავსებით დაიმსახურა. ლადო გუდიაშვილმა მაგრად მოიკიდა ფეხი პარიზის სკოლის წამყვან წრეებში. ამავე დროს პარიზის გამომცემლობამ „Sans Plreil" გამოუშვა ლადო გუდიაშვილის შემოქმედების შესახებ მონოგრაფია, რომელსაც ქართული საზოგადოება კარგად უნდა იცნობდეს. მისი წინასიტყვაობა დაწერილი იყო ხელოვნების კრიტიკოსის-მ ო რ ი ს რ ე ი ნ ა ლ ი ს მიერ, რომელიც პარიზის მხატვრულ წრეებში ცნობილი იყო, როგორც კუბისტური დოქტრინის მხურვალე მოციქული. იმისათვის, რომ მორის რეინალს გადაეწყვიტა ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედების შესწავლა, იმ მხატვრის, რომელიც სრულებით არ ეკუთვნოდა კუბისტების სკოლას, საჭირო იყო მორის რეინალს გამოეთქვა თავისი შეხედულება ლადო გუდიაშვილზე, როგორც თანამედროვე მხატვრული პროდუქციის იშვიათ მაგალითზე. და ლადო გუდიაშვილიც ნამდვილად ამართლებდა ამ შეხედულებას.

ამ ამბების შემდეგ ლადო გუდიაშვილმა გადასწყვიტა საქართველოში დაბრუნება.

წლებმა განვლო. ჩვენ იშვიათად ვღებულობდით მისგან ამბებს. ჩვენ არ ვიცოდით, რითი ცხოვრობდა საბჭოთა საქართველო, რა მიმართულებით სწარმოებდა აქ ძიებანი. მაგრამ ლადო ჩვენ მაინც არ დაგვიწყებია. ამ დროს გარემოებამ მოისურვა, რომ ლადოს წამოსვლისთანავე, 1925 წელს, მე გამხდარვიყავი ბილიეს გალერეის დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1926 წელს—უკვე დირექტორად. მე მიზნად დავისახე გამეცნო პარიზის არტისტიული საზოგადოებისათვის მოწინავე ტენდენციის ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედება, მათი ღირსეული დაფასების მიზნით, გალერეის დამაარსებლის ჟოზეფ ბილიეს პრინციპების თანახმად.

ხელოვანთა და ხელოვნების მოყვარულთა წრეებში ჩვენ ხშირად ვეკითხებოდით ერთმანეთს, რა დაემართა ლადო გუდიაშვილს, იმ მხატვარს, რომლისგანაც ჩვენ ამდენს მოველოდით და რომელმაც დაგვსტოვა, რათა დაბრუნებულიყო სამშობლო კერასთან. რამდენიმე წლის წინათ ერთმა ჩვენმა მეგობარმა, რომელმაც დიდხანს დაჰყო საბჭოთა კავშირში, პირველად ჩამოგვიტანა ამბავი ლადოს შესახებ. ამ მეგობარს მოსვლია ბედნიერი აზრიც—ეთხოვა ლადოსთვის რამდენიმე ნახატი და ჩამოეტანა ისინი პარიზში. ჩამოსვლისთანავე ეს მეგობარი მეწვია მე და გადმომცა სურათნი. მე მაშინვე გადავათვალიერე და ვერ მოვითმინე, სანამ არ მოვაწყე ლადო გუდიაშვილის უკანასკნელ ნაწარმოებთა მესამე გამოფენა.

მე მაშინვე ვინახულე უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების წარმომადგენელი პარიზში. ამ დროს პარიზის საბჭოთა საელჩოს რწმუნებულად იყო ამხ. ივანე დივილკოვსკი. დივილკოვსკი, რომელსაც მე 10 წლის განმავლობაში ვიცნობდი, ისეთი პიროვნება იყო, რომელსაც ვერასოდეს ვერ დავივიწყებ:



ძველი ბეითალი მხატვ. ლ. გუდიაშვილი

---

ის იყო ნამდვილი ბოლშევიკი, აქტიური, გამჭრიახი, შეუპოვარი დასახული მიზნების განხორციელებაში და ამავე დროს ღრმა კულტურის ადამიანი, რომელიც განსაკუთრებით იცნობდა ფრანგულ კულტურას და მის მიღწევებს.

მე გავუზიარე ამხ. დივილკოვსკის ჩემი აზრი ბილიეს გალერეიაში საბჭოთა საქართველოს მხატვრის-ლადო გუდიაშვილის უკანასკნელი ნახატების გამოფენის მოწყობის შესახებ, იმ ლადოსი, რომელიც იმავე დროს ჩემი მეგობარიც იყო. დივილკოვსკი მაშინვე დამეთანხმა და დახმარებაც გამიწია. მოვაწყვეთ ეს გამოფენა საბჭოთა კულტურის შესწავლის საზოგადოების თანამშრომლებით (ფრანგული ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად აქვს გააცნოს ფრანგულ საზოგადოებას საბჭოთა კავშირის სოციალისტური კულტურის მიღწევები).

გამოფენა გაიმართა 1935 წ. ივნისში. სამწუხაროდ, ივანე დივილკოვსკიმ სამსახურის გამო ძალზე გართულმა საქმეებში, ვერ შესძლო ამ გამოფენის ნახვა, მას არ ჰქონდა საშუალება დაეტოვებია საელჩო, და იქ, საელჩოში, ვინახულე იგი უკანასკნელად, მისი უდროო სიკვდილის და ჩემი საბჭოთა კავშირში გამომგზავრების სამი დღის წინ.

ლადო გუდიაშვილის უკანასკნელი სურათების გამოფენა დიდი წარმატებით ჩატარდა. როგორც კი გაიგეს ამ გამოფენის მოწყობა, ანდრე სალმონმა, ცნობილმა ხელოვნების წარჩინებულმა კრიტიკოსმა და მორის რეინალმა უკვე ხელოვნების განყოფილების რედაქტორმა ერთ-ერთ დიდ ყოველდღიურ გაზეთში L'intransigeant, უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს იმ ქართველი მხატვრის მიმართ, რომელიც მოვიდნენ, რომ დარწმუნებულიყვნენ, თუ რა დიდი ევოლიუცია გამოვლილია აქ ხელოვანს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, და განცვიფრებული დარჩენ 10 წლიწადში განვლილი შემოქმედებითი გზით. დანარჩენი კრიტიკოსები, სალმონზე და რეინალზე უფრო ახალგაზრდები, რომელთაც არ ჰქონდათ წინათ ნანახი ლადო გუდიაშვილის შემოქმედება, გაოცებულნი იყვნენ იმ შემოქმედებითი ძალით, რომელიც პირველად იშლებოდა მათ წინაშე. ერთი ამ კრი-

ტიკოსთაგანი, ჟაკ დე ლაპრად, გაზეთ „Beaux-Arts“-ის, თანამედროვე მხატვრობის უმნიშვნელოვანეს ორგანოს თანამშრომელი, რომელსაც ამ გამოფენის შემდეგ ვაჩვენე ლადო გუდიაშვილის ძველი ნამუშევარიც, სწერდა ამ გაზეთში:

„ამ ქართველმა მხატვარმა ერთხელ უკვე გამოფინა თავისი ნამუშევარი პარიზში... ამ ჟამად ბილიეს გალერეაში მოწყობილი გამოფენა გვიჩვენებს მხატვრის ზრდას... მისი ოსტატობა გახდა უფრო პერსონალური: იგი განსაკუთრებით გაღრმავდა და გაივსო შინაარსით... იმავე დროს მან შეინარჩუნა თავისი სტილი და უფრო დაუახლოვდა ცხოვრებას, მისი ხაზი უფრო მოქნილი და გამახვილებული გახდა...

მეორე—ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გავლენიანი კრიტიკოსი, რაიმონ კონია სწერდა „L'intransigeant“-ში, სადაც მორის რეინალიც მუშაობს: „ხელოვანი, რომელსაც ნახატში აქვს გემოვნება და სიზუსტის გრძნობა, რომელიც არ უარყოფს თავის გრძნობიერებას: ქართველი ლადო გუდიაშვილი... აქ ნახატი ხდება არაბესკად და ბერძნულ გრაფიკულ ნიშნად... „მხიბლავი ძალა, რომელიც მუდმივ მეტყველობს, არ იზღუდება ზერელე შთაბეჭდილების გამოწვევით და რომელსაც შეუძლია უფრო ღრმა და ძლიერი გრძნობების გამოწვევა“...

მე ვკმაყოფილდები მხოლოდ ამ ორი ახალგაზრდა კრიტიკოსის წერილებიდან ამოღებული ციტატებით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ლადო გუდიაშვილის უკანასკნელი ნახატების გამოფენამ პარიზში გამოიწვია უამრავი რეცენზია, რომლებიც ერთხმად და დადებითად აფასებენ გამოფენილ ნახატებს და რომლების მთლიანად გადმოცემის საშუალებას არ მაძლევს ამ წერილის ფარგლები.

რატომ მოხდა, რომ ლადო გუდიაშვილის უკანასკნელი ნახატების გამოფენამ პრიზში ჩაიარა ასეთი დიდი წარმატებით? რად გააოცა ასე მისმა მოლწევებმა მეგობრები და თაყვანისმცემელნი, რომელთა რიცხვშიც ბედნიერი ვარ ჩავთვალო ჩემი თავი? რატომ აღმოუჩნდენ ახალი მოტრფიალენი ამ პატარა გამოფენას? იმიტომ, რომ ლადო გუდიაშვილი, რომელიც ერთ დროს პარიზის სკოლის ახალგაზრდა იმედი იყო, ამ ათი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც გარკვეული სახის დიდი ხელოვანი. ის დღეს გამოხატავს იმ გრძნობებს, რომელნიც ასულდგმულებენ არა მხოლოდ ეროვნულ სტიქიას, არამედ მთელ თანამედროვე თაობასაც. ამიტომ იყო, რომ მის უკანასკნელ გამოფენაზე იგი გამოცხადებულიქნა „საბჭოთა საქართველოს მხატვრად“.

ტფილისში დაბრუნებამ და სამშობლო მიწასთან დაახლოვებამ მისცა ლადოს ახალი ძალა, ისე, როგორც ანთეის-მიწის შვილს ბერძნულ მითოსში. ანთეი სასიცოცხლო-სასიკვდილო ბრძოლის დროს ძალას და გამბედაობას პოულობდა მაშინ, როდესაც მისი ფეხები დედამიწას ეკარებოდა.

ლადო გუდიაშვილმა პარიზში შესძლო თავისი ბუნებრივი ნიჭის განვითარება, მისი ორგანიზაცია, მხატვრული ტექნიკის დაუფლება და პარიზის არტისტული ცხოვრების ალში მისი გასპეტაკება. საქართველოში დაბრუნებისას კი იგი უკვე პოულობს ისეთ ატმოსფერას და ისეთ მოტივებს, რომლებიც მას საშუალებას აძლევენ მაქსიმალურად გამოიყენოს პარიზში შეძენილი თვისებები. მხოლოდ პარიზში ყოფნამ მისცა მას საშუალება სამშობლოში დაბრუნებისას უკეთ დაეფასებია ქართული ცხოვრების ლირიკული და ეპიური მხარეები, რომლის სილამაზეს ის ასე თავისებურად უმღერს. როგორც კი იგრძნო მისმა სხეულმა სამშობლო მიწის მიკარება, მასში-ახალ ანთეისში—იმატა ძალამ. ამას გარდა, საქართველოს ცხოვრებაც არ მიდის, როგორც წინათ, ძველი კალაპოტით. საქართველო გახდა საბჭოთა საქართველოდ. და ახალი ცხოვრების დროს ლადო გუდიაშვილი, როგორც ხელოვანი, გრძნობს ინტუიციით აუცილებლობას—მიიღოს მონაწილეობა ახალი სიციალისტური ქვეყნის შენებლობაში.



ვაჟა ფშაველა. მოქანდაკე გ. მიზანდარი

აქ მე ვალდებული ვარ ბრჭყალები გავხსნა: მართალია, ამ წერილს მივეცი სათაური: „ლადო გუდიაშვილი პარიზში", მაგრამ შეუძლებელია ამ წერილის შეზღუდვა მხოლოდ იმ დამოკიდებულების აღწერით, რომელიც ჩვენ მეგობარს პარიზთან ჰქონდა. რათა მივიდე იმ დასკვნამდე, რომელსაც ეს წერილი მოითხოვს, მე არ შემიძლია გამოუყენებლად დავსტოვო ის მდიდარი მასალა, რომელიც მე ტფილისში ყოფნის დროს შევკრიბე ლადო გუდიაშვილის შემოქმედებითი აქტივობის შესახებ. მე იძულებული ვარ ვიხმარო ერთი ხერხი, რათა დავრჩე ჩემი სათაურის ფარგლებში—„ლადო გუდიაშვილი პარიზში". წარმოვიდგინოთ, ჩემი სახით თვით პარიზი ესტუმრა ლადო გუდიაშვილს ტფილისში, ძველი კავშირის განსაახლებლად იმ მხატვართან, რომელმაც დაგვსტოვა ჩვენ, და მე, როგორც პარიზელ ფრანგ ხელოვანთა კოლექტივის წევრი, გავბედავ გამოვსთქვა ჩემი აზრი ლადო გუდიაშვილის უკანასკნელი შემოქმედების შესახებ

გამოვყოთ ცალკე მისი ქართული კლასიკოსების დასურათება და, კერძოდ, შოთა რუსთაველის ილუსტრაციები, სადაც იგი რჩება მის მიერ განახლებული ტრადიციული ქართული სტილის ფარგლებში და გადავავლოთ თვალი მის შემოქმედებას ფერწერასა, გრაფიკასა და ფრესკებში. რას ვხედავთ ჩვენ აქ? გაცილებით უფრო სადა, ძლიერი და ექსპრესიული ტექნიკის შეძენისა, რასაც უკვე აღნიშნავდენ ზემოხსენებული პარიზელი კრიტიკოსები, ლადო გუდიაშვილის ჩვეულებრივი მოტივების გამმა უფრო გამდიდრდა: იგი აღარ კმაყოფილდება მისთვის დამახასიათებელი პოეტური გრძნობით ქართველი ქალის ეშხის გადმოცემას, ქართული ტიპის კეთილშობილობას და ხალხური სცენების ლაზათს, სადაც მთავარ როლებს კინტოები ასრულებენ; ლადო გუდიაშვილი, საბჭოთა საქართველოს მხატვარი, მისთვის ჩვეულებრივი ოსტატობით და ნიჭით, რომელიც მოქნილია, როგორც მისი ნახატების ხაზი, გვიამბობს უკვე დღევანდელი ქართული ცხოვრების სცენებს, როგორც, მაგალითად: კოლმეურნეები მოერეკებიან საქონელს, კოლმეურნეები აბარებენ სანოვაგეს ქალაქში, ჯიუტი კულაკი ტრაქტორთან ბრძოლაში, ტრაქტორის გამარჯვება, ტრაქტორიანი კოლმეურნის მადლობა თავის ძველი მეგობრის—ცხენისადმი...

გუდიაშვილის ფერწერაშიც ვხედავთ ევოლუციას: ახალი მოტივები, რომელნიც ხანდახან თუ იხსენიებენ წარსულს, ისიც ირონიით, სავსებით ეთანხმება სოციალისტური რეალიზმის პრინციპს; ეს პრინციპი დაცულია ყველგან, არის ეს სცენა, სადაც, ვთქვათ, ბეითალი კბილს აძრობს ლომს რკინის გალიაში, თუ სცენა, სადაც მუშაობენ ქვის მთლელი მუშები, ან და ქართველი მწერლების პორტრეტები.

რაც შეეხება ლადო გუდიაშვილს, როგორც კოლორისტის, ტექნიკას, აქაც ეტყობა მას დიდი წინსვლა. ლადო გუდიაშვილი აღარ ხმარობს თხელ და მკრთალ ტონებს; ეს ტონები უფრო ღიაა, მაგრამ საკმაოდ შეზავებულია და ღრმა დ დამუშავებული, ისე რომ ხანდახან ლადო ამ მხრივ ენათესავება რეალიზმის ისეთ ოსტატებს, როგორიც არიან კურბე და დომიე.

მაგრამ უკანასკნელ აღმოჩენას წარმოადგენს, აი, რა: ლადო გუდიაშვილი გარდა იმისა, რომ ცნობილი გრაფიკოსია, თეატრისა და კინოს მხატვარი, თურმე ყოფილა იშვიათი ფრესკისტიც. ჩემი ტფილისში ჩამოსვლისთანავე სასტუმრო „ორიანტის" ერთ-ერთ დარბაზში ვნახე ლადოს ტრადიციული დეკორატიული მანერით შესრულებული ფრესკები. ეს იყო ძველი მეგობრის ერთნაირი მისალმება საქართველოში შემოსვლისთანავე, თითქოს ეს ფრესკები ბედნიერ ჩამოსვლას მისურვებდენ. ხოლო ჩემი ტფილისიდან წამოსვლისას ლადოს მეორე ფრესკამ სადგურის დარბაზში მისურვა კეთილი მგზავრობა.

ამ ორი ფრესკის შუა არის მრავალი წელი შემოქმედებითი ცხოვრების, შრომისა და ზრდისა, როდესაც შექმნილიქნა სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ფრესკები, როგორიც არის, მაგალითად, ფრესკები მარჯანიშვილის თეატრის ფოიეში. და აი ამ ორ ფრესკას სასტუმრო „ორიანტის" და ტფილისის სადგურის ფრესკებს შუა ნაჩვენებია ნათლად ლადო გუდიაშვილის მიერ განვლილი გზა: დეკორატიული ხასიათის მხატვრობიდან სოციალისტური რეალიზმის მხატვრობამდე, რომელიც ასე დამახასიათებელია მშენებლობის პერიოდის ეპოქისათვის. განა ეს არ არის ის დასკვნა, რომელსაც უნდა მიაღწიოს ჩემმა წერილმა, რადგან მე მიზნად ვისახავდი პარიზელი მეგობრის თვალსაზრისით ლადო გუდიაშვილის შემოქმედების უკანასკნელი ნიმუშების გარჩევას? მე მგონია, რომ ეს ასეა.

და ნება მომეცით, ლადოს ფრესკების გახსენებით, რომელნიც მესალმებოდენ მე როგორც ჩამოსვლის, ისე წამოსვლის დროს, დავამთავრო ეს წერილი, სადაც მინდოდა ამეხსნა თქვენთვის, თუ რატომაა, რომ ლადო გუდიაშვილი, საბჭოთა საქართველოს მხატვარი, ითვლება პარიზში, როგორც ერთი ჩვენიანი.

